



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599 96 12 31,  
ელ. ფოსტა: [tsagerisakrebulo@gmail.com](mailto:tsagerisakrebulo@gmail.com)

## ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

N 8  
06/02/2019

8-06-4-201902061528



ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ქ. ცაგერში მდებარე 1461.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 89.03.25.079) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო სარგებლობის-აღნაგობის უფლებით 30 წლის ვადით სარგებლობის უფლებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს -სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის გადაცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ. დ“ ქვეპუნქტის, 61-მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, ქ. ცაგერში მდებარე 1461.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 89.03.25.079) გადაეცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს -სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის-აღნაგობის უფლებით 30 წლის ვადით, შემდგომში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის მიზნით.
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი გუგავა

გ. გუგავა

საკრებულოს თავმჯდომარე  
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო